



## შპს „პარვუს ბასრა“

35 კილოვოლტი საკაბელო  
ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა

სკრინინგის ანგარიში

2023 წელი

## სარჩევი:

1. შესავალი.....	3
2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი.....	5
3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.....	7
3.1 საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა.....	7
3.2 საქმიანობის საპროექტო მახასიათებლები.....	18
4. საკვლევი არეალის გეოლოგიური დახასიათება.....	23
5. საქმიანობის განხორციელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედება.....	27
5.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	28
5.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	29
5.3. წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	32
5.4. ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება .....	35
5.5. ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება .....	44
5.6. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	45
5.7. გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება .....	47
5.8. ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	48
5.9. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	48
6. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი.....	50
7. არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება.....	51
8. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება/ხარისხი.....	52
9. დანართები.....	53

## 1. შესავალი

სკრინინგის ანგარიში ეხება შპს „პარვუს ბასრა“ მიერ, 35 კვ ძაბვის საჰაერო-საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის „ბასრა“ მშენებლობის პროექტს, რომელიც დაგეგმილია განხორციელდეს გურიის მხარეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების აუცილებლობა წარმოშობილია მდინარე ბჟუჟაზე მშენებარე „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების მიერ გამომუშავებული ენერჯის საერთო ქსელში ჩართვის საჭიროებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია შესავალ ნაწილშივე განიმარტოს, რომ შპს „პარვუს ბასრა“ მდ. ბჟუჟას ხეობაში გეგმავს ახალი ჰიდროელექტროსადგურების „ბასრა 1“ (საპროექტო სიმძლავრე 1,98 მგვტ), „ბასრა 2“ (საპროექტო სიმძლავრე 1,97 მგვტ) და „ბასრა 3“ (საპროექტო სიმძლავრე 1,96 მგვტ) მშენებლობას, რაც არ საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული პროცედურების გავლას (იხ. დანართი N1 - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი N21/6461 08/08/2023). სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმებული ტექნიკური პირობების მიხედვით საპროექტო „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების მიერ გამომუშავებული ენერჯის „ბასრა 1“ ჰესის სატრანსფორმატორო (35 კვ ძაბვის) სადგურამდე მიტანა დაგეგმილია 10 კვ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზების საშუალებით. ხოლო „ბასრა 1“ ჰესის სატრანსფორმატოროდან „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების მიერ გამომუშავებული ენერჯის საერთო ქსელში ჩართვა დაგეგმილია საპროექტო 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

დაგეგმილი საქმიანობის განმარტებითი ბარათის შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებს მშენებარე „ბასრა 1“ ჰესიდან - 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებლის საპროექტო ტერიტორიამდე 35 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას (პროექტის აღწერა იხ. 3.2 ქვეთავში), რომლის მთლიანი ნაწილი მოწყობილი იქნება საჰაერო გადაწყვეტით. საპროექტო ეგზ-ის საერთო სიგრძე შეადგენს 5470 მეტრს. გათვალისწინებულია მოეწყოს ორჯაჭვა ელექტროგადამცემი საკაბელო ხაზი, საიდანაც ერთი ჯაჭვი (კაბელი) განიხილება როგორც სარეზერვო.

დაგეგმილი საქმიანობა ხორციელდება სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმებული ტექნიკური პირობების (იხ. დანართი N2) შესაბამისად. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცნობით, საპროექტო „ბასრა 1“ ჰესი კომპანიის ელექტროქსელთან შესაძლებელია მიერთდეს განშტოებით, ქს „ოზურგეთი 110“-დან გამავალ 35 კვ ძაბვის ეგზ „შემოქმედზე“, რისთვისაც ეგზ „შემოქმედთან“ დაგეგმილია მოეწყოს 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობა. ტექნიკური პირობების შესაბამისად, „ბასრა 1“ ჰესიდან საპროექტო გამანაწილებელ მოწყობილობამდე, 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი (საკაბელო) ხაზის გაყვანას განახორციელებს შპს „პარვუს ბასრა“ და პასუხისმგებელი იქნება პროექტის შესაბამისი სტანდარტებით, მათ შორის გარემოსდაცვითი სტანდარტებით შესრულებაზე.

ვინაიდან, საპროექტო არეალში ჩასატარებელი სამუშაოები წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნის საფუძველზე, საქმიანობის განმახორციელებლის - შპს „პარვუს ბასრა“ (ს/კ: 405564438) დაკვეთით შემუშავდა დაგეგმილი

საქმიანობის სკრინინგის ანგარიში, რომელიც სრულ თანხვედრაშია კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სკრინინგის განცხადება/ანგარიში შედგენილ იქნა დაგეგმილი საქმიანობისა და პროექტის განხორციელების ადგილსპეციფიკური გარემოებების სათანადო შესწავლის, ასევე საპროექტო ტიპის ეგხ-ის გაყვანით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების ანალიზის საფუძველზე.

### საინფორმაციო ცხრილი N1

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „პარვუს ბასრა“ (ს/კ: 405564438)
იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ქობულეთის ქუჩა, N 17, ბინა 26
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: +995577381111 ელ. ფოსტა: <a href="mailto:giorgi.guldedava@parvusgroup.ge">giorgi.guldedava@parvusgroup.ge</a>
დაგეგმილი საქმიანობის სახე, კოდექსის შესაბამისად	„35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება”
საქმიანობის განხორციელების ადგილი	გურია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. შემოქმედი
ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ	Green Team Consulting შპს „გრინ თიმ ქონსალტინგ”

## 2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ დირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით საქართველომ მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ არეგულირებს ისეთ სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე.

კოდექსი მოიცავს ორ დანართს, სადაც მოცემულია საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებენ შესაბამისი პროცედურის გავლას. I დანართის შემთხვევაში საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ-ის) პროცედურას, ხოლო II დანართის შემთხვევაში – სკრინინგის პროცედურას (გარდა ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა).

ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა და საჭიროებს საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ სკრინინგის განცხადების სააგენტოში განსახილველად წარდგენას.

დაგეგმილი პროექტი (35 კილოვოლტი ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა) შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას და საჭიროებს კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის გავლას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარსადგენი სკრინინგის განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს: ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე; გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარსადგენი სკრინინგის განცხადება შედგენილი უნდა იქნეს კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ მოცემული უნდა იყოს:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;

ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;

ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;

ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;

ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;

ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;

ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;

ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;

ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;

ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;

ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;

ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);

გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:

გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;

გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

ამასთან, კოდექსის მე-7 მუხლის 4<sup>1</sup> ნაწილის მიხედვით, სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში. *მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით (<https://maps.municipal.gov.ge/>), საკვლევ არეალში მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობა არ დასტურდება, შესაბამისად დგინდება რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნის სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინების/ასახვის საჭიროება არ დგას.*

კოდექსის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებლის ვალდებულებაა საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს განსახილველად წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება, რომლის რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების განხილვის/ანალიზის საფუძველზე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ის პროცედურას.

### 3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

#### 3.1. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:

საკაბელო 35 ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი შემოქმედის ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში. საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მთლიანი სიგრძე შეადგენს - 5,470 მეტრს. საპროექტო ეგზის ტრასა იწყება 35 კვ ძაბვის ეგზ „შემოქმედიდან“ (X-260167, Y-4638686), სადაც განთავსდება 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობა. 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებლის განთავსების ადგილი წარმოადგენს შპს „პარვუს ბასრას“ სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახელმწიფო ტყე) ტერიტორიას (ს/კ 26.33.23.322). საპროექტო (საკაბელო ტიპის) ეგზ-ის პირველი საყრდენი ანძის (№A1) განთავსება დაგეგმილია 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის სიახლოვეს (*იხ. სურათი N1*), შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-260172; Y-4638686. აღნიშნული ადგილიდან ეგზ-ის საკაბელო ქსელი მიუყვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, 135 მეტრზე. მოცემულ მონაკვეთზე, №A1 საყრდენიდან №A9 საყრდენამდე, საკაბელო ეგზ გაყვანილი იქნება არსებულ შიდა სატყეო გრუნტის გზაზე, რომელიც ამჟამად მიტოვებულია და არ არის აქტიურ სარგებლობაში (*იხ. სურათები N2-N3*).

სურათი N1



## სურათები N2 - N3



№A9 საყრდენის (GPS: X-260292; Y-4638532) განთავსება დაგეგმილია შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზაზე (ს/კ 26.33.23.189). №A9 საყრდენიდან საკაბელო ქსელი (№A10-№A11 საყრდენებს შორის) გადაკვეთს „ბჟუჟქესის“ სადაწნეო მილსადენს (იხ. სურათი N4) და მიუყვება შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს (იხ. სურათი N5), მათ შორის №A16 საყრდენიდან (GPS: X-260357; Y-4638374) საპროექტო საკაბელო ეგზ გაივლის შემოქმედი-გომისმთის გზაზე გაყვანილ „ბჟუჟქესის“ 10 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ს/კ 26.00.052) გასწვრივ (იხ. სურათი N6). საპროექტო (საკაბელო) ელექტროგადამცემი ხაზი შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზის მარჯვენა ნაპირს გაუყვება №A9 საყრდენიდან №A92 საყრდენამდე (X-260351; X-4636784). ელექტროგადამცემი ხაზის აღნიშნულ დერეფანში მოსაწყობი საყრდენები და შესაბამისად საკაბელო ხაზები **გარკვეულ მონაკვეთებზე, საკაბელო ქსელის გაყვანის ტექნიკური გადაწყვეტებიდან გამომდინარე**, კვლავ კვეთს სახელმწიფო ტყის ტერიტორიებს. საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიებზე განთავსებული იქნება №№:20; 21; 22; 23; 24; 25; 26; 27; 32; 33; 34; 35; 41; 42; 43; 44; 54; 58; 64; 65; 66; 71; 72; 73; 81; 82; 89; 90 საყრდენები და შესაბამისი საკაბელო ხაზები. ქსელის გაყვანის ტექნიკური გადაწყვეტების გარდა, ტყის ტერიტორიებზე მცირედი შეჭრების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზისა და სახელმწიფო ტყის ტერიტორიის საკადასტრო ერთეულების შემჭიდროვებული მდებარეობა. განხილულ მონაკვეთზე (№A9-№A92) ეგზ-ის ტრასა მკვეთრად სახეცვლილია ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად.



სურათები N4 - N5



სურათები N6 - N7




№A92 საყრდენიდან (X-260351; X-4636784) - №A158 (X-260784; Y-4635679) საყრდენამდე, შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციასთან" შეთანხმების შესაბამისად, საკაბელო ქსელი გაყვანილი იქნება N26.18.07.236 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ „ბჟუჟქესის“ სათავე კვანძის მისასვლელ/მომსახურე გრუნტის გზის მარჯვენა მხარეს (იხ. სურათი N8). აღნიშნულ მონაკვეთზე, „ბჟუჟქესის“ სათავე კვანძამდე, საპროექტო საკაბელო ქსელი კვლავ „ბჟუჟქესის“ 10 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ს/კ 26.00.052) გასწვრივ გაივლის (იხ. სურათები N9-N10) და იმეორებს არსებული ეგხ-ის მარშრუტს. განსაზღვრულ მონაკვეთზე საპროექტო ეგხ გარკვეულ მონაკვეთებზე (დაახლოებით 30 საყრდენის და შესაბამისი საკაბელო ხაზის განთავსების ადგილებზე) კვლავ იჭრება სახელმწიფო ტყის ტერიტორიის საზღვრებში. აღნიშნული, როგორც წინა შემთხვევაში, განპირობებულია საკაბელო ქსელის გაყვანის ტექნიკური გადაწყვეტილებიდან, აგრეთვე „ბჟუჟქესის“ მისასვლელი გზისა და სახელმწიფო ტყის ტერიტორიის შემჭიდროვებული, ხოლო ხშირ შემთხვევაში გადაფარული საკადასტრო საზღვრებით. განხილულ მონაკვეთზე საპროექტო ეგხ უახლოვდება მდ. ბჟუჟას (იხ. სურათი N11) და უახლოესი საყრდენიდან (№A157) მდინარემდე პირდაპირი მანძილი დაახლოებით 30 მეტრს შეადგენს. განსაზღვრულ მონაკვეთზე (№A91 - №A158) გარემოზე ზემოქმედება უკვე დამდგარია „ბჟუჟქესის“ არსებული მისასვლელი გზისა და „ბჟუჟქესის“ ეგხ-ის ვათვალისწინებით, ხოლო საპროექტო ტიპის საკაბელო ქსელის მოწყობით შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდა მოსალოდნელი არ არის.

#### სურათები N8



სურათები N9 – N10



სურათი N11



№A158 (X-260784; Y-4635679) საყრდენი ანბიდან საკაბელო ხაზი კვეთს „ბჟუჟქესის“ სათავე კვანძის მისასვლელ/მომსახურე გრუნტის გზას და მდ. ბჟუჟას გასწვრივ, საპროექტო ეგხ-ის ბოლო წერტილამდე (X-260747; Y-4634281) საკაბელო ქსელი მიუყვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. აღნიშნული მონაკვეთის სიგრძე დაახლოებით 1500 მეტრს შეადგენს. განსახილველი ეგხ მთავრდება შპს „პარვეს ბასრას“ სარგებლობაში არსებულ N26.33.23.323 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახელმწიფო ტყის) ტერიტორიაზე, სადაც დაგეგმილია „ბასრა 1“ ჰესის ძალური კვანძის მოწყობა. განსაზღვრულ მონაკვეთზე მდ. ბჟუჟასთან ყველაზე ახლოს განთავსებული იქნება №A197 (X-260660; Y-4634942), №A202 (X-260672; Y-4634821) და №A217 (X-260723; Y-4634455) საყრდენები, რომელთა განთავსების ადგილებიდან მდინარემდე პირდაპირი მანძილები *(შესაბამისი თანმიმდევრობით)* დაახლოებით 20-30-20 მეტრს შეადგენს. განხილული დერეფნის (№A158-A224) გარკვეულ მონაკვეთებამდე (ძირითადად საწყის და ბოლო ნაწილებში) წვდომა შესაძლებელი იქნება „ბჟუჟქესის“ და საპროექტო „ბასრა 1“ ჰესის მისასვლელი გზების საშუალებით, თუმცა ნაწილზე (დაახლოებით 1200 მ მონაკვეთზე) საჭირო იქნება ეგხ-ის მომსახურე-მისასვლელი გზის კეთილმოწყობა, *რომლის სიგანე საპროექტო ეგხ-ის დაცვის ზონის (2 მ) შესაბამისი იქნება და აღნიშნული მიზნით ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვანი ათვისების საჭიროება არ დგას.*

#### სურათი N12



სურათები N13 – N14 – „ბასრა 1“ ჰესის მისასვლელი გზები




რუკა N1 - საკლავი ზონა




**3.1.1. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის თავსებადობა:****დასახლებულ ტერიტორიასთან:**

საქმიანობის განხორციელების ადგილი არ მდებარეობს დასახლებულ ტერიტორიაზე ან/და მის უშუალო სიახლოვეს. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი მონაკვეთიდან სოფელ შემოქმედის (გომის) დასახლებულ ტერიტორიამდე პირდაპირი მანძილი დაახლოებით 1640 მეტრს შეადგენს, ხოლო საზაფხულო კურორტ - გომისმთის დასახლებულ ტერიტორიამდე დაახლოებით 2425 მეტრს. დასახლებულ ტერიტორიებსა და ეგხ-ის საპროექტო ზონას მიუჯნავს რელიეფური ფორმები/გეომორფოლოგიური ერთეულები და განთავსებულია სხვადასხვა ჰიფსომეტრულ ნიშნულებზე.

რუკა N2



რუკა N3



35 კვ ძაბვის საკაბელო ეგხ-ის საპროექტო დერეფანში დაცულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით განსაზღვრული დაცვის ზონები. ეგხ-ის დერეფანში

ან/და მის სიახლოვეს არ ხვდება შენობა-ნაგებობები, მათ შორის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები. განსაზღვრულ მონაკვეთში საპროექტო ეგზ-ის გაყვანით დასახლებულ ტერიტორიასთან მიმართებით ფაქტობრივი მდგომარეობა უცვლელად შენარჩუნდება. საპროექტო არეალიდან დასახლებულ ტერიტორიებამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა ან/და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია დასახლებულ ტერიტორიასთან და აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების საჭიროება არ დგას. დასახლებულ ტერიტორიასა და საპროექტო ეგზ-ის შორის მანძილის გათვალისწინებით პროექტის ფარგლებში ეკონომიკური ან/და ფიზიკური განსახლების საჭიროება არ დგას. როგორც უკვე აღინიშნა ეგზ-ის დერეფანი ძირითადად არსებული გზების დერეფანს მიუყვება.

#### **ჭარბტენიან ტერიტორიასთან:**

მონაცემების (მათ შორის, atlas.mepa.gov.ge; maps.gov.ge) გადამოწმებით დგინდება, რომ საკვლევი არეალის ფარგლებში ან/და მის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ეკოსისტემას. ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის ჭარბტენიან-დაჭაობებულ ტერიტორიებთან თავსებადობის, ასევე ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

#### **შავი ზღვის სანაპირო ზოლთან:**

შეფასებას არ საჭიროებს ასევე დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის თავსებადობის საკითხი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, რომელიც საპროექტო ადგილიდან საკმაოდ დიდი მანძილით (დაახლოებით 28 კილომეტრით) არის დაშორებული.

#### **ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები:**

საპროექტო ეგზ-ის საჰაერო ნაწილის გარკვეული მონაკვეთები გაივლის ხე-მცენარეებით დაფარულ ზონაში. პროექტის ფარგლებში ტყით დაფარული ტერიტორიის ათვისება ძირითადად გათვალისწინებულია ეგზ-ის საწყის (X-260172, Y-4638686; X-260292; Y-4638532) და ბოლო მონაკვეთში (X-260910, Y-4635529; X-260743, Y-4634306). საჰაერო ქსელის დერეფანში „წითელი ნუსხის“ სახეობებიდან გვხვდება წაბლის (*Castanea sativa*) ცალკეული ინდივიდები.

როგორც ეს 3.1 ქვეთავში განიმარტა ეგზ-ის საწყისი მონაკვეთი გაყვანილი იქნება არსებულ შიდა სატყეო გრუნტის გზაზე (იხ. სურათები N2-N3), რომელიც ამჟამად მიტოვებულია და არ არის აქტიურ სარგებლობაში. აღნიშნულ მონაკვეთზე ხე-მცენარეების, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობის გარემოდან ამოღების საჭიროება არ დგას. შესაბამისად მნიშვნელოვანი ზემოქმედება ტყით დაფარულ ტერიტორიაზე, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობაზე მოსალოდნელი არაა.

ეგზ-ის ბოლო მონაკვეთზე წვდომა შესაძლებელი იქნება საპროექტო „ბასრა 1“ ჰესის მისასვლელი გზების საშუალებით, თუმცა გარკვეულ ნაწილზე (დაახლოებით 1200 მ მონაკვეთზე) საჭირო იქნება ეგზ-ის მომსახურე გზის გაყვანა/კეთილმოწყობა, რომლის სიგანე საპროექტო ეგზ-ის დაცვის ზონის (2 მ) შესაბამისი იქნება. განსაზღვრულ მონაკვეთზე, ეგზ-ის ბუფერულ ზონაში მომსახურე გზის კეთილმოწყობის აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო იქნება ხე-მცენარეების გარკვეული ინდივიდების გარემოდან ამოღება (იხ. ქვეთავი 5.4) - თუმცა ეგზ-ის

ტიპის (საკაბელო) და ბუფერული ზონის სიგანის (2 მ) გათვალისწინებით ტყით დაფარულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.


წინასწარი შეფასებით, განსაზღვრულ მონაკვეთში წითელი ნუსხის სახეობ(ებ)ის გარემოდან ამოღების საჭიროება არ დგას (იხ. ქვეთავი 5.4), თუმცა ასეთის საჭიროების შემთხვევაში - საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღება განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ტყით დაფარულ ტერიტორიაზე შესაძლო ზემოქმედების მინიმუმაციის მიზნით მკაცრად განისაზღვრება სამშენებლო უბნების საზღვრები.

საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ტიპის გათვალისწინებით, რომელიც გაყვანილი იქნება საკაბელო გადაწყვეტით (იზოლირებულ სადენში) - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ფარგლებში ხე-მცენარეებზე, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და დაგეგმილი საქმიანობის ტყით დაფარულ ტერიტორიასთან თავსებადობის დამატებითი შეფასების საჭიროება არ დგას.

**დაცულ ტერიტორიებთან:**

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საკვლევი არეალის ფარგლებში ან/და მის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები, მათ შორის ზურმუხტის ქსელის უბნები წარმოდგენილი არ არის (იხ. atlas.mepa.gov.ge; maps.gov.ge; რუკა N4). საკვლევი ზონიდან უახლოეს დაცულ ტერიტორიამდე (კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი) პირდაპირი მანძილი 5 კილომეტრზე მეტს შეადგენს. ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის დაცულ ტერიტორიებთან თავსებადობის საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

რუკა N4





**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან:**

memkvidreoba.gov.ge ინტერაქტიული რუკის მონაცემების მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან/ობიექტებიდან საკვლევი არეალის სიახლოვეს არ გვხვდება არცერთი ძეგლი/ობიექტები. *კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი და ის არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში - შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.* დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან/ობიექტებთან. გრუნტის ექსკავირების პროცესში, რაიმე არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაო პროცესი დაუყოვნებლივ შეჩერდება და ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

**საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან):**

საკვლევ რეგიონში არ ფიქსირდება მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმა (იხ. maps.municipal.gov.ge), სადაც შესაძლოა გამოყოფილი ყოფილიყო ლანდშაფტური, სარეკრეაციო ან/და სატყეო ზონები. maps.gov.ge-ის მონაცემების მიხედვით, საპროექტო არეალის სიახლოვეს არ მდებარეობს სარეკრეაციო ტერიტორიები.

ეგბ-ის საკაბელო ქსელის საწყისი და ბოლო მონაკვეთები მთლიანად მიუყვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. ხოლო ეგბ-ის ძირითადი ნაწილი, რომელიც შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზის და „ბჟუჟჰესის“ სათავე კვანძის მისასვლელ/მომსახურე გრუნტის გზის მარჯვენა ნაპირს მიუყვება გარკვეულ მონაკვეთებში კვეთს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. ვინაიდან სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა ან/და მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით (კანონმდებლობის შესაბამისად) შესაბამის ადმინისტრაციულ უწყებაში წარდგენილი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის უახლოეს მომავალში საპროექტო დერეფანში დაგეგმილია ჩატარდეს მცენარეული საფარის დეტალური კვლევა (ტყის ტაქსაცია).

ვინაიდან საკვლევ ზონაში არ ფიქსირდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონები, ხოლო ეგბ-ის ტიპის გათვალისწინებით პროექტის განხორციელება დაკავშირებული არ არის ტყით დაფარულ ტერიტორიაზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, შესაბამისად - დაგეგმილი საქმიანობა და მისი განხორციელებისთვის შერჩეული ადგილი თავსებადია ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ზონებთან/ტერიტორიებთან.

### 3.2. დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლები:

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს გურიის მხარეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის („ბასრას“) გაყვანას. საპროექტო ხაზობრივი ნაგებობა წარმოადგენს **საკაბელო** ორჯაჭვან ელექტროგადამცემ ხაზს, საიდანაც ერთი ჯაჭვი განიხილება როგორც სარეზერვო.

**საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი არის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გადაცემისათვის/გადატანისათვის განკუთვნილი იზოლირებული სადენი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე პარალელური შტოსაგან, შეერთებისათვის საჭირო აქსესუარებით (ქუროები, მომჭერები და სხვ).**

საპროექტო ელექტროგადამცემი (საკაბელო) ხაზი მოწყობილი იქნება საჰაერო გადაწყვეტით, რაც ნიშნავს იმას, რომ 35 კვ ძაბვის **იზოლირებული სადენების** გაყვანა განხორციელდება საყრდენი ანძების მეშვეობით. *მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ საპროექტო მახასიათებლების გადამცემი ხაზი არ წარმოადგენს 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ის ტიპიურ ქსელს, რომელიც ხასიათდება დიდი გაბარიტების ანკერული ანძებითა და ღია ტიპის სადენებით.*

პროექტი შედგენილია მდინარე ბუჟუჟაზე მშენებარე „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის საერთო ქსელში ჩართვის საჭიროებიდან გამომდინარე. პროექტის განმარტებითი ბარათისა და სს „ენერჯო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმებული ტექნიკური პირობების (იხ. დანართი N2) შესაბამისად: 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ბასრა“ უნდა აშენდეს მშენებარე „ბასრა 1“ ჰესიდან, 35 კვ ძაბვის ეგხ „შემოქმედამდე“, სადაც მოეწყობა 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობა. საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის საერთო სიგრძე, რომელიც მთელ მონაკვეთზე საჰაერო გადაწყვეტით გაივლის, შეადგენს 5,470 მეტრს. პროექტის მიხედვით, საჰაერო კაბელის გასაყვანად დაგეგმილია 224 საყრდენის მოწყობა.

35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტირების ეტაპზე შესრულებული იქნა შემდეგი საპროექტო სამუშაოები:

- ადგილმდებარეობის შესწავლა, ტოპოგრაფიული მოკვლევა და რუკების გაკეთება;
- გადამცემი ხაზის ტრასის და გაბარიტების დადგენა;
- გადასაცემი სიმძლავრის მიხედვით საჰაერო კაბელის შერჩევა; საყრდენების და სახაზო არმატურის შერჩევა;
- ეგხ-ის გვერდითი პროფილის მიხედვით საყრდენების განლაგებისა და მათი რაოდენობის დადგენა, გაბარიტული ზომების ანგარიში;
- ტექნიკური და ტექნოლოგიური ნახაზების შედგენა.

პროექტირება განხორციელდება საქართველოში არსებული ელექტროტექნიკური ნაგებობის სამშენებლო სტანდარტებისა და ქსელის წესების ტექნიკური პირობების პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად.

**3.2.1. სამფაზა 35 კვ ძაბვის საჰაერო კაბელის და შესაბამისი საყრდენების მახასიათებლები:**

საჰაერო საკაბელო ხაზის მშენებლობისათვის გამოიყენება, ფოლად-ალუმინის საჰაერო კაბელი NA2X(FL)2Y 20,3/35 kV 3X240 მმ<sup>2</sup>; + 1x64 მმ<sup>2</sup>; მზიდი ფოლადის გვარლით, რომლის დასაშვები დენი 460 ამპერია.

„ბასრა 1“ ჰესის მხარეს, ასევე ეგზ „შემოქმედთან“ განშტოების წერტილში მოსაწყობ 35 კვ ძაბვის დახურულ გამანაწილებელ მოწყობილობაში კაბელის დაბოლოებებზე დამონტაჟდება შიდა დადგმულობის POLT-42E/1XO 150-300 ტიპის ქუროები. ძალოვანი კაბელების გადაზმისათვის (ერთმანეთთან დასაკავშირებლად) გამოიყენება დამაკავშირებელი შემაერთებელი ქუროები - POLJ 42/1x120-240-CEE01.


საჰაერო საკაბელო გადამცემი ხაზის საყრდენებისათვის, გამოყენებული იქნება CC 10-8-7.4 ტიპის რკინაბეტონის დგარები, რომლის ტექნიკური პარამეტრები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (N2).

ცხრილი N2

სახეობა	CC 10-8-7.4
სიგრძე	10800 მმ
წონა	1.88 ტ
მოცულობა	0.75 მ <sup>3</sup>
ბეტონის ტიპი	M500 W6/8 F200
წინასწარდამაბული არმატურა	56 Ø5 VR II
არმატურის დამაბვის სიმძლავრის საერთო კოეფიციენტი	119 ტ
საცდელი დატვირთვა	2.10 ტ

საპროექტო 35 კვ ძაბვის საჰაერო საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა გათვალისწინებულია 224 რკინაბეტონის საყრდენის საშუალებით, მათ შორის გამოყენებული იქნება ოთხი ტიპის საყრდენი: რკინაბეტონის საყრდენი ანძა A10-2; რკინაბეტონის საყრდენი ანძა II 10-2; რკინაბეტონის საყრდენი ანძა YII 10-2; რკინაბეტონის საყრდენი ანძა YAPI 10-2.


სურათი N15 - საპროექტო საყრდენების მაგალითები:



გადამცემი ხაზის რკინაბეტონის საყრდენებზე, კაბელის დასამაგრებლად გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის ლითონ-კონსტრუქციები და მოწყობილობები: ტრავერსები; საკიდის დამაგრების კვანძები; სამაგრები; ანკერული დამჭიმი-მომჭერები; შუალედური დამჭერები. პროექტით გათვალისწინებულია - საყრდენებისთვის მოეწყოს სათანადო სტანდარტების დამიწებები და მეხდამცავები.

საპროექტო ტიპის საჰაერო საკაბელო ხაზის ვიზუალური აღქმის მიზნით წარმოგიდგენთ ანალოგიური/მიახლოებითი ტიპის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის ფოტომასალას (იხ. სურათები N16 და N17).

სურათები N16 – N17



ორჯაჭვა საჰაერო საკაბელო გადამცემი ხაზის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, განხორციელდა ტოპოგრაფიული მოკვლევა. ხოლო არსებული გეოდეზიურ და საკადასტრო მონაცემებზე დაყრდნობით შეირჩა გადამცემი ხაზის გატარების ოპტიმალური მარშრუტი. რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნა გადამცემი ხაზების მინიმალური კვეთები. 35 კვ ძაბვის საჰაერო-საკაბელო გადამცემი ხაზის ტოპოგრაფიული ადგილმდებარეობა მოცემულია დანართის სახით (დანართი N3).

საკაბელო საჰაერო გადამცემი ხაზის საყრდენი ანძების განლაგების კოორდინატები და მისი საკიდების გრძივი სიმეტრიის ღერძის აზიმუტის კუთხის მნიშვნელობა მოცემულია დანართის სახით (დანართი N4).

**3.2.2. პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები:**

35 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროცესში გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების შესრულება: საკაბელო გადამცემი ხაზისათვის საყრდენი ანძების დასმის ადგილების დაკვალვა; საყრდენების ჩასასმელი ორმოების ამოღება; საანკერო მისაბრჯენი საყრდენების ორმოების ამოღება; ანძების და მისაბრჯენი ანკერების ჩასმა ორმოებში; ანკერების და ანძების ორმოების შევსება, ანძების ვერტიკალების გასწორება; ანძის ორმოების ამოვსება ბეტონის ხსნარით; ანძების დამჭიმი მოწყობილობების მონტაჟი; სახაზო არმატურის დამონტაჟება ანძებზე; ელექტროგადამცემი კაბელის მონტაჟი; დამიწების კონტურების მოწყობა, დამიწების გაზომვა აუცილებლობის შემთხვევაში დამიწების კონტურის გაფართოება; საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის ელექტროტექნიკური გაზომვების ჩატარება, ხაზის გამოცდა გამოსაცდელი ძაბვით; სამუშაოების წარმოების შესახებ საჭირო დოკუმენტაციის წარმოება.

ყველა სამუშაო შესრულდება საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტის გათვალისწინებით, დაცული იქნება „ელექტრო დანადგარების მოწყობის წესების“ და „უსაფრთხოების ტექნიკის წესების“ მოთხოვნები.

35 კვ ძაბვის საჰაერო საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის/გაყვანის სამუშაოების ძირითადი ეტაპებია: მოსამზადებელი; სამშენებლო-სამონტაჟო; გაზომვითი-დიაგნოსტიკური და გაშვება-გაწყობითი სამუშაოები. მშენებლობის საანგარიშო ხანგრძლივობად, ტრასის მარშრუტის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით აღებულია - 2 (ორი) თვე, მათ შორის: ერთი კვირა მოსამზადებელი პერიოდისთვის; ოთხი კვირა მონტაჟისა და ეგხ-ის გაყვანის სამუშაოებისთვის; ერთი კვირა გაზომვითი-დიაგნოსტიკური სამუშაოებისთვის; ორი კვირა დემობილიზაცია-კეთილმოწყობისა და ეგხ-ის ექსპლუატაციაში გაშვების სამუშაოებისთვის. სამშენებლო ეტაპების ორგანიზების გრაფიკი წარმოდგენილია N3 ცხრილის სახით.

ცხრილი N3

სამუშაოს ტიპი	1 კვირა	1 კვირა	1 კვირა	1 კვირა	1 კვირა	1 კვირა	1 კვირა	1 კვირა
მოსამზადებელი პერიოდი								
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები								
გაზომვითი-დიაგნოსტიკური								
დემობილიზაცია-კეთილმოწყობა								

მოსამზადებელი პერიოდის დასრულების შემდგომ (რომელიც ძირითადად მოიცავს სამუშაო ზონის დაკვალვით, სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის მობილიზაციის ღონისძიებებსა, ასევე მისასვლელი გზების კეთილმოწყობას) განხორციელდება საპროექტო ეგხ-ის მონტაჟის-გაყვანის სამუშაოები. სამონტაჟო სამუშაოები, რომელიც დაახლოებით სამი კვირა გაგრძელდება (იხ. ცხრილი N3), ძირითადად მოიცავს: საყრდენების ჩასასმელი ორმოების ამოღებას; საყრდენების ტრანშეებში განთავსებას; ანძის ორმოების ამოვსებას; ანძების დამჭიმი მოწყობილობების მონტაჟს; ელექტროგადამცემი კაბელის მონტაჟს/გაყვანას.

საპროექტო ეგხ-ის გაყვანის ეტაპზე ექსკავირებული გრუნტი დროებით განთავსდება სამონტაჟო საყრდენი ანძების მიჯნაზე, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება უკუჩაყრისა და სამუშაო უბნების ტექნიკური რეკულტივაციისთვის. თითოეული საყრდენი ანძის განთავსების ფართობისა (1 მ<sup>2</sup>) და თხრილის სიღრმის (2,5 მ) გათვალისწინებით მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი რაოდენობის ფუჭი გრუნტის აკუმულაცია. საპროექტო ეგხ-ის დერეფნის ფარგლებში, საკვლევი უბნის ადგილსპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მძლავრი საფარი წარმოდგენილი არ არის. საჭიროებიდან გამომდინარე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება სათანადო პირობების დაცვით (იხ. 5.6 ქვეთავი.)

დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, საპროექტო ტიპის ეგხ-ის გაყვანის სამუშაოებისათვის გათვალისწინებული არ არის დიდი რაოდენობით მძიმე ტექნიკის მობილიზება. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნება მცირე ზომის ექსკავატორ-დამტვირთელი (ე.წ. JSB); თვითმცლელი; მანიპულატორი და ამწე. სამუშაო დღის დასრულების შემდგომ, ტექნიკის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების პრევენციის მიზნით, სამშენებლო ტექნიკა მომდევნო სამუშაო დღის დაწყებამდე დარჩება კონკრეტულ სამუშაო უბანზე (მოიაზრება საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების ადგილები). კონკრეტულ სამუშაო უბანზე ტექნიკის გაჩერების შეუძლებლობის შემთხვევაში სამშენებლო ტექნიკა გადაყვანილი იქნება შპს „პარვუს ბასრა“ სარგებლობაში არსებულ ტერიტორიებზე (ს/კ: 26.33.23.322; 26.33.23.323).

პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე, საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილი არ არის სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის ან/და სამშენებლო ბანაკ(ებ)ის მოწყობა. სამშენებლო უბნებზე საჭირო მასალების, მათ შორის ბეტონის მზა ხსნარის, შემოტანა განხორციელდება პერიოდულად/საჭიროებისამებრ (შესაბამისი მომწოდებლისგან).

საყრდენების განთავსების ადგილებამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება საპროექტო არეალში არსებული გრუნტის გზები, მათ შორის გამოყენებული იქნება: შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზა (ს/კ 26.33.23.189); შიდა სატყეო გზები; „ბჟუჟჰესის“ სათავე კვანძამდე მისასვლელი გზა (ს/კ 26.18.07.236); ასევე „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების მშენებლობისთვის მოწყობილი მისასვლელი გზები (ს/კ: 26.33.23.236; 26.33.23.237; 26.33.23.206; 26.33.23.208; 26.33.23.207; 26.33.23.325). პროექტის განხორციელების მიზნებისთვის ახალი მისასვლელი გზის კეთილმოწყობა დაგეგმილია საპროექტო ეგხ-ის დაახლოებით 1200 მეტრიან მონაკვეთზე („ბასრა 1“ ჰესის შენობიდან (GPS: X-260743, Y-4634306) ბჟუჟჰესის სათავე კვანძამდე (GPS: X-260889, Y-4635547)), რისთვისაც ათვისებული იქნება მხოლოდ საპროექტო ეგხ-ის 2 მეტრიანი სიგანის ბუფერი.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ეგხ-ის დერეფნის გასწვრივ ჩატარდება სამშენებლო ადგილების დასუფთავება/კეთილმოწყობა. ეგხ-ის სამშენებლო დერეფნის ფარგლებში დაზიანებული უბნები აღდგება და დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.


## 4. საკვლევი არეალის ზოგადი გეოლოგიური დახასიათება

საკვლევი არეალის გეოლოგიური პირობების დახასიათება ეყრდნობა სამშენებლო სამუშაოებისთვის მოპოვებული ფუნდური და ლიტერატურული მასალების საფუძველზე გაკეთებულ გეოლოგიურ ანგარიშს, ასევე ეგზ-ის საპროექტო დერეფნის საველე-ვიზუალურ დათვალიერებას (რომელიც 2023 წლის ნოემბრის თვეში განხორციელდა).

საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით საკვლევი ტერიტორია ხვდება I გ ზონაში. საკვლევი ტერიტორიის მეტეოროლოგიური მონაცემები აღებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის დოკუმენტიდან. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით საკვლევ არეალთან უახლოესი მეტეოროლოგიური სადგური მდებარეობს ბახმაროში. საკვლევ ტერიტორიაზე წლიური საშუალო ტემპერატურა არის 2.5°. აბსოლუტური მაქსიმუმ 30°, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი -38°. ნალექები და თოვლის საფარი: წლიური საშუალო ნალექები - 1869 მმ; დღიური მაქსიმუმი ნალექები - 250 მმ; თოვლიანი დღეების რაოდენობა - 189.


საპროექტო დერეფანი მდებარეობს გურიის მხარეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბჟუჟას ხეობაში, ზღვის დონიდან დაახლოებით 440-930 მეტრის სიმაღლეზე. მდინარე ბჟუჟა სათავეს იღებს მესხეთის ქედზე და უმეტესად ჩამოყალიბებული აქვს ვიწრო, V-ს ფორმის ხეობა. საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ზონის, საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფის ქვეზონას, რომელიც განვითარებულია მესამეულ ვულკანოგენური წყებების ნაოჭა სტრუქტურებზე.

რუკა N5



საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით გამოსაკვლევი ტერიტორია მოქცეულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო ქვეზონაში (ე. გამყრელიძე, 2004). საკვლევი რეგიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს პალეოგენური და მეოთხეული პერიოდის ქანები. პალეოგენური პერიოდის ნალექები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში წარმოდგენილია ზედა ( $E_2^3$  - ფიქლებრივი თიხები, ქვიშაქვები, მერგელები, მიკროკონგლომერატები, ბრექჩიები, ანდეზიტ-ბაზალტები, ტუფები, ტუფობრექჩიები და ტუფოქვიშაქვები) და შუა ეოცენური ( $E_2^2$  - მასიური და ფიქლებრივი ტუფები, ტუფობრექჩიები, ტუფოქვიშაქვები ანდეზიტური განფენებით) ქანებით. საკვლევი რეგიონის ფარგლებში ასევე ფიქსირდება შუაეოცენური ასაკის ვუკლანოგენური ქანები (კვარციანი დიორიტები და ბაზალტები). ზემოთ აღნიშნული ქანები საპროექტო ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში გადაფარულია მეოთხეული ასაკის ნალექებით.


რუკა N6



საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სამ ძირითად ტექტონიკურ ერთეულად (იხ. რუკა N6): კავკასიის ნაოჭა სისტემა, ამიერკავკასიის მთათაშუა არე და მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა. საკვლევი რეგიონი მოქცეულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო ქვეზონაში (ე. გამყრელიძე, 2004). უშუალოდ საპროექტო არეალში მსხვილი ტექტონიკური მოძრაობები (რღვევები) არ ფიქსირდება.




რუკა N6




საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია MSK64 სკალის შესაბამისად მიეკუთვნება 7 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას, (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი. სამშენებლო ნორმების და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ.

რუკა N7



საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით გამოკვლეული ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა-ბელტური სისტემის ჰიდროგეოლოგიური რაიონის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის დასავლეთ დამირვის ჰიდროგეოლოგიურ ადმასივს. საპროექტო დერეფნის საველე-ექსპედიციის ფარგლებში დაძიებულ სიღრმეებზე (1.20-2.50 მეტრზე) მიწისქვეშა/გრუნტის წყლები არ გამოვლენილა.

რუკა N8



საპროექტო დერეფნის ზოგადი გეოლოგიური პირობების შეფასების ანგარიშის თანახმად, კვლევების ამ ეტაპზე არსებული მონაცემების მიხედვით, ზოგადი გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური თვალსაზრისით ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი გარემოება, რომელიც წინააღმდეგობას შეუქმნიდა განსახილველი ობიექტის მშენებლობას ან/და ექსპლუატაციას.

რთული ტიპის რელიეფური ფორმები და სახიფათო გეოდინამიკური წარმონაქმნები ძირითადად დამახასიათებელია ხეობის ზედა წელისთვის. საპროექტო მარშრუტზე ეგზ-ის გაყვანის მიზნით დაგეგმილი არ არის ფერდობის ჩამოჭრა-დამუშავების ღონისძიებები, რასაც შესაძლოა გეოდინამიკური პროცესების გააქტიურება გამოეწვია.

განსახილველი მონაკვეთის საველე-ექსპედიციის ფარგლებში, საპროექტო ეგზ-ის ბუფერულ ზონაში ხელშემშლელი გეოლოგიური/გეოდინამიკური გარემოებები არ გამოვლენილა, რაც წინააღმდეგობას შეუქმნიდა საპროექტო ტიპის 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა-ექსპლუატაციას (იხ. 3.1 ქვეთავში წარმოდგენილი ფოტომასალა). მოპოვებული ფონდური-ლიტერატურული მასალებისა და ეგზ-ის საპროექტო დერეფნის საველე-ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ რომ საველე ზონაში საშიში გეოლოგიური პროცესების კვალი არ ფიქსირდება და არც სამომავლოდ არის მოსალოდნელი რაიმე საფრთხე აღნიშნული მდგრადობის დასარღვევად.

## 5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება

საპროექტო მახასიათებლების ანალიზის შედეგად განხორციელდა დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი, მათ შორის გამოიკვეთა პოტენციური ზემოქმედების წყაროები, ხოლო ობიექტური შეფასებების საფუძველზე დადგინდა მოსალოდნელი ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგით დგინდება, რომ საქმიანობის მასშტაბის, ეგხ-ის ტიპის და პროექტის განხორციელებისთვის შერჩეული დერეფნის ადგილსპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე არ შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც „მნიშვნელოვანი“, რაც დასტურდება ასევე მე-5 თავის შესაბამის ქვეთავებში მოცემული განმარტებებიდან. დაგეგმილი საქმიანობა, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპი არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგით დგინდება, რომ საპროექტო ტიპის (საკაბელო) ეგხ-ის მოწყობა დადებით გარემოსდაცვით ხასიათს ატარებს და არ ხასიათდება ისეთი ზემოქმედების სახეების პროვოცირებით, რომლებიც ცალკე აღებული ან/და ერთობლივად გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას შექმნიდა. საპროექტო ტიპის ეგხ-ის მოწყობით: მნიშვნელოვნად მცირდება შესაძლო ზემოქმედება ორნითოფაუნაზე; ტიპიური (ღია) საჰაერო ეგხ-ის ექსპლუატაციისგან განსხვავებით საპროექტო საკაბელო ქსელის ექსპლუატაცია დაკავშირებული არ იქნება ხმაურისა და ელექტრული ველების გავრცელებასთან; მოსალოდნელი არ არის ტიპიური საჰაერო ეგხ-ის ექსპლუატაციით გამოწვეული შესაძლო ავარიული რისკები და მნიშვნელოვანი ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება.

განსახილველი ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტის ძირითადი ნაწილი გაყვანილი იქნება საკვლევ არეალში წარმოდგენილ გზებზე (მათ შორის შემოქმედი-გომისმთისა და ბუჩუქების სათავე კვანძამდე მისასვლელი საავტომობილო გზების მარჯვენა მხარეს), რაც საგრძნობლად ამცირებს გარემოზე, მათ შორის ბუნებრივ ჰაბიტატებზე, შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების წარმოქმნის ალბათობას. ეგხ-ის გაყვანის მიზნით ახალი ტერიტორია ათვისებული იქნება დაახლოებით 1200 მეტრიან მონაკვეთზე - მოცემულ მონაკვეთზე ეგხ-ის გაყვანისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ ეგხ-ის დაცვის ზონის (2 მ) შესაბამისი სიგანის ბუფერის ათვისება.

საპროექტო ტიპის (საკაბელო ქსელის გაყვანა) საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, ხოლო შესაძლო ზემოქმედების მინიმინზაციის მიზნით სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება და კანონმდებლობით დადგენილი გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა საკმარის გარემოსდაცვით პირობას წარმოადგენს. ანგარიშის მომდევნო ქვეთავებში აღწერილია სკრინინგის პროცედურის შედეგად გამოვლენილი/გამოკვეთილი პოტენციური ზემოქმედების წყაროები, გაანალიზებულია მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობა და მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

### 5.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება:

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, არც მოწყობითი სამუშაოების წარმოების და არც შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპზე, საპროექტო არეალში არ იარსებებს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი რაიმე ტიპის სტაციონარული წყარო/ობიექტი. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება სამშენებლო ეტაპთან, კერძოდ - ზემოქმედების წარმოქმნელ წყაროებს წარმოადგენს: მიწის სამუშაოები და ტრანსპორტის/სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება.

დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით საკაბელო ეგზ-ის მოწყობისთვის დაგეგმილი არ არის მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოება (იხ. ქვეთავი 3.2), რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. მოსამზადებელი-სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ჯამში მაქსიმუმ 2 თვე გაგრძელდება, შესაბამისად შესაძლოა ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე იქნება დროებითი/მოკლე პერიოდის და შეწყდება აღნიშნული სამუშაოების დასრულებისთანავე.

სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე დიდი რაოდენობით მძიმე ტექნიკის მობილიზება დაგეგმილი არ არის. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნება: მცირე ზომის ექსკავატორ-დამტვირთელი JSB (1 ცალი), თვითმცლელი (1 ც), მანიპულატორი (1 ც) და აწე (1 ც) - რომელთა მუშაობას შესაძლოა თან ახლდეს გამონაბოლქვი ნაწივი აირების გამოყოფა, ხოლო მიწის სამუშაოების დროს მტვრის გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში.

ვინაიდან (საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით), მნიშვნელოვანი რაოდენობის სამშენებლო ტექნიკის გამოყენება არ არის დაგეგმილი, ხოლო სამშენებლო ეტაპი გაგრძელდება დაახლოებით 2 თვის განმავლობაში - შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ტექნიკის ნაწივი აირებით ან/და მტვრის გავრცელებით ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და აღნიშნული მიმართულებით დეტალური შეფასებების განხორციელების საჭიროება არ დგას. სამშენებლო ტექნიკიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მაჩვენებლები იმდენად უმნიშვნელო იქნება, რომ საკვლევ არეალში ფონური მდგომარეობა უცვლელად შენარჩუნდება (გაფრქვეული გამონაბოლქვი აირები იდენტური ან/და კიდევ უფრო ნაკლები იქნება საავტომობილო გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებისა). სამშენებლო უბნებზე დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბის და სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი არ არის დიდი რაოდენობით მტვრის წარმოქმნა-გავრცელება.

პროექტის მასშტაბისა და საკვლევი ზონიდან დასახლებულ ტერიტორიამდე დაშორების მანძილების გათვალისწინებით სამშენებლო სამუშაოების წარმოება დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ შესაძლო ზემოქმედებასთან. ამასთან, სამუშაო დღის დასრულების შემდგომ ტექნიკის გადაადგილებით ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი შესაძლოა ზემოქმედების (ნაწივი აირების, მტვრის) პრევენციის მიზნით, სამშენებლო ტექნიკა მომდევნო სამუშაო დღის დაწყებამდე გათვალისწინებულია დარჩეს კონკრეტულ სამუშაო უბანზე.

მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების შერბილების, ხოლო უკეთეს შემთხვევაში პრევენციის მიზნით სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საკმარის პირობას წარმოადგენს, კერძოდ:

- ✦ გაკონტროლდება სამშენებლო საშუალებების ტექნიკური გამართულობა - ტექნიკურად გაუმართავი სამშენებლო ტექნიკა დაუყოვნებლივ დატოვებს სამშენებლო უბანს;
- ✦ საპროექტო არეალში, ტრანსპორტის სამოდრაო გრუნტის გზებზე ამტვერების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული იქნება სიჩქარის კონტროლი/ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა;
- ✦ აიკრძალება უქმად მდგომი სამშენებლო ტექნიკის ჩართულ მდგომარეობაში ყოფნა - სამუშაო ტექნიკის ძრავი გაითიშება დაკისრებული სამუშაოს შესრულებისთანავე;
- ✦ ამტვერების პრევენციის მიზნით გაკონტროლდება სატვირთო მანქანიდან ტვირთის ჩამოცლის და დასაწყობების პირობები, მათ შორის ტვირთი დაიცლება თანაბარი სიჩქარით;
- ✦ ამტვერების პოტენციური უბნები (მათ შორის მისასვლელი გზები) საჭიროებისამებრ წყლით დაინამება.

ეგბ-ის ექსპლუატაცია, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან და აღნიშნული მიმართულებით კვლევების განხორციელების საჭიროება არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება, როგორც მოწყობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რომელიც შესაძლოა დამატებით შეფასებას ან/და ანალიზს საჭიროებდეს. შესაძლო ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე ძირითადად დაკავშირებული იქნება მშენებლობის ეტაპთან, რომელიც სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით ფაქტობრივად ნულოვან მნიშვნელობას ატარებს.

## 5.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება:

ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმომქმნელი მნიშვნელოვანი წყაროები, მათ შორის სტაციონარული წყაროები საკვლევ არეალში არ იარსებებს. მშენებლობის ეტაპზე საკვლევ არეალში ხმაურის გავრცელება ძირითადად დაკავშირებული იქნება სამშენებლო ტექნიკის მუშაობასთან.

მშენებლობის ეტაპზე, საკვლევ არეალში მომუშავე სამშენებლო ტექნიკიდან წარმოქმნილი ხმაურის ტიპიური დონეები შეადგენს: თვითმცლელისთვის - 76 დბ, ამწისთვის და მანიპულატორისთვის - 60 დბ, ხოლო ექსკავატორისთვის - 80 დბ. ყველა სამშენებლო ტექნიკის ერთდროული მუშაობის შემთხვევაში ხმაურის ჯამურმა დონემ შესაძლებელია შეადგინოს 81.5 დეციბალი:

$$76\text{dB} + 60\text{dB} + 60\text{dB} + 80\text{dB} = 81.5\text{dB}$$


$$10 \times \text{Log}_{10}(10^{76/10} + 10^{60/10} + 10^{60/10} + 10^{80/10})$$


ხმაურის მაქსიმალური დონის (82 დბ) მიღწევა დამოკიდებულია თითოეულ უბანზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ინტენსივობაზე.

უახლოეს დასახლებულ ტერიტორიებამდე დაშორების მანძილის (იხ. რუკა N2-N3) გათვალისწინებით პროექტის სამშენებლო ეტაპზე ხმაურის გავრცელებით სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების აღბათობა ფაქტობრივად ნულოვან მნიშვნელობას ატარებს, ხოლო 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით განსაზღვრული ხმაურის დასაშვები ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არაა.

ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მიმღებ წყაროს სოციალური გარემოს გარდა, შესაძლოა წარმოადგენდეს ასევე ფაუნისტური გარემო. ეგხ-ის გაყვანის ეტაპზე, დაგეგმილი არ არის მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მათ შორის დიდი რაოდენობით მძიმე სამშენებლო ტექნიკის გამოყენება, რასაც შესაძლოა ფაუნის წარმომადგენლების განსაკუთრებული შეშფოთება და მათზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება გამოეწვიოს. ამასთან, აღსანიშნავია რომ ეგხ-ის ძირითადი ნაწილი გაყვანილი იქნება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში (*შემოქმედი-გომისმთის, „ბუჩუჭკესის“ და შიდა სატყეო გზებზე*), სადაც საკონსერვაციო ღირებულების ფაუნის წარმომადგენლების ბინადრობა ნაკლებ სავარაუდოა. ფაუნის წარმომადგენლების ნაწილი, რომლებმაც შესაძლოა დროებით დატოვონ ეგხ-ის საპროექტო არეალი, მოწყობის ეტაპის დასრულებისა და საპროექტო დერეფნის კეთილმოწყობის შემდგომ კვლავ დაუბრუნდებიან ჩვეულ გარემოს.

კონკრეტულ სამუშაო უბანზე ყველა სამშენებლო ტექნიკის ერთდროული მუშაობის შემთხვევაში წარმოქმნილი ხმაურის მაქსიმალური დონე (82 დბ) დაახლოებით 60 მეტრიან რადიუსში მიღევად ხასიათს ატარებს და 65 დბ-დან 40 დბ-მდე მერყეობს. ეგხ-ის საპროექტო დერეფანში გენერირებული ხმაური კონკრეტულ სამშენებლო უბანზე იქნება ლოკალიზებული (იხ. მოდელირება) და არ გავრცელდება ფართო მასშტაბებზე, *ვინაიდან ეგხ-ის საკაბელო ქსელის მარშრუტი ორივე მხარეს (ბუნებრივი ბარიერებით შემოსაზღვრულ) ხე-მცენარეებით დაფარულ და რელიეფური ფორმებით გამოყოფილ ადგილებში გაივლის.*





ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე (მათ შორის ხმაურის მაქსიმალური დონის მიღწევის შემთხვევაში) პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით არ შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „მნიშვნელოვანი ზემოქმედება“, მათ შორის როგორც უკვე აღინიშნა:

- პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე დაგეგმილი არ არის მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მათ შორის თითოეული საყრდენის ანძის უბანზე ჩასატარებელი სამუშაოები გაგრძელდება მხოლოდ რამდენიმე საათი - რაც საკმაოდ მცირე დროა იმისთვის რომ ხმაურწარმოქმნელმა წყაროებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემო ფაქტორებზე;
- დაგეგმილი არ არის დიდი რაოდენობით მძიმე ტექნიკის მობილიზება. საკაბელო გადამცემი ხაზის საყრდენებისთვის თხრილების მოსაწყობად გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი მცირე გაბარიტების ექსკავატორი (ე.წ JSB);
- სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს მაქსიმუმ 2 თვის განმავლობაში;
- სამშენებლო სამუშაოები ღამის საათებში არ განხორციელდება.

საპროექტო ეგზ-ის ტიპის (საკაბელო გადამცემი ხაზი) გათვალისწინებით, ოპერირების ეტაპი დაკავშირებული არ იქნება ტიპიური ელექტროგადამცემი ხაზის (ღია ქსელის) ექსპლუატაციით მოსალოდნელი ხმაურის გავრცელებასთან. არსებული ინფორმაციით, ღია ტიპის საჰაერო ეგზ-ების ექსპლუატაცია ხასიათდება ხმაურის გავრცელებით (განსაკუთრებით წვიმიან ამინდში), მაგ: 220 კვ-იანი ეგზ-სთვის ხმაურის დონე შეადგენს 45 დბ-ს. საპროექტო ტიპის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა ერთგვარ დადებით გარემოებას წარმოადგენს - ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლუატაციის დროს ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების არარსებობის კუთხით. *საპროექტო ეგზ არ ხასიათდება ხმაურის გავრცელებით, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს ღია ტიპის გადამცემ ხაზს და მთლიანი საჰაერო ნაწილი შედგება იზოლირებული სადენ(ებ)ისგან.*

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით დგინდება, რომ არც მშენებლობის და არც შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპზე პროექტის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული კუთხით დამატებითი კვლევების განხორციელების საჭიროება არ დგას. ხოლო შესაძლო ზემოქმედების მინიმუმაციის მიზნით სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საკმარის პირობას წარმოადგენს, მათ შორის:

- ✦ ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში;
- ✦ უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა;
- ✦ სამშენებლო არეალში შეიზღუდება სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სიჩქარეები და სამოდრაო მარშრუტები;
- ✦ ხმაურწარმომქმნელი სამუშაოები განხორციელდება მაქსიმალურად დროის მოკლე პერიოდში;
- ✦ გაკონტროლდება სამშენებლო უბნებზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ინტენსივობა - მაღალი ინტენსივობისა და ხმაურის დონის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში შეიზღუდება ხმაურწარმომქმნელი წყაროების ერთდროულად, მაღალი დატვირთვით მუშაობა.


### **5.3. წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება:**

საკვლევ არეალში ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წარმოდგენილია მდინარე ბჟუჟი. მონაკვეთში, სადაც საკაბელო ეგზ მდ. ბჟუჟას მიუყვება, უახლოესი საყრდენებიდან მანძილი მდინარე 20-30 მეტრს შეადგენს (იხ. ქვეთავი 3.1). პროექტის ფარგლებში მდინარის კალაპოტში საყრდენი ანძების მოწყობა დაგეგმილი არ არის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით - საპროექტო ტიპის ობიექტზე (ეგზ-ის გაყვანა) აღნიშნული რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება და ასეთ შემთხვევაში საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკვლევ ზონაში გვხვდება აგრეთვე მცირე ზომის სეზონური ხევები/წყლის ზედაპირული გამოვლინების ადგილები. საპროექტო დერეფნის ადგილზე დათვალიერებისა და 25 000-იანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის მონაცემების მიხედვით, საკაბელო ქსელი 7 ადგილზე კვეთს ასეთი ტიპის მცირე ზომის უსახელო სეზონურ ხევებს (იხ. რუკა N9). შემოქმედით-გომისმთის გზის მონაკვეთზე (*პირობითად პირველ მონაკვეთზე*) წარმოდგენილია 4 მცირე ზომის სეზონური ხევი, რომელთა გადაკვეთა ხორციელდება საავტომობილო გზაზე მოწყობილი გადაკვეთების შესაბამისად. „ბჟუჟქვის“ სათავე კვანძის მისასვლელი გზიდან ეგზ-ის ბოლომდე (*პირობითად მეორე მონაკვეთზე*) წარმოდგენილია 3 მცირე ზომის ხევი, რომელთა გადაკვეთა განხორციელდება ხევის ნაპირებზე საყრდენების განთავსების გზით.



რუკა N9



სურათები N18 – N19



საყრდენი ანძების სამშენებლო უბნების ფართობის (1 მ<sup>2</sup>), საყრდენების განთავსების ადგილების, ზედაპირული წყლის ობიექტიდან საპროექტო საყრდენების დაშორების მანძილების, ამასთან საკვლევ ზონაში წარმოდგენილ ზედაპირული წყლის ობიექტსა და საპროექტო ეგზ-ს შორის არსებული ჰიდრომეტრული ნიშნულების სხვაობის გათვალისწინებით დგინდება რომ - საკვლევ ზონაში ეგზ-ის გაყვანით ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ზე, მათ შორის მცირე ზომის ხევებზე რაიმე ტიპის პირდაპირი სახის ზემოქმედება

მოსალოდნელი არ არის. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი არ არის სამშენებლო სამუშაოების წარმოება მდინარეში ან/და წყლის ზედაპირული გამოვლინების ადგილებში, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ზედაპირული წყლის ობიექტის/მდინარის ეკოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

მშენებლობის დროს, ზედაპირული წყლის ობიექტზე ირიბი სახის ზემოქმედება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან, რომლის პრევენციის მიზნით სამშენებლო უბნებზე დაწესდება სათანადო კონტროლი და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის:

- ✚ სამუშაო ადგილ(ებ)ზე, განსაკუთრებით მდინარის სიახლოვეს, აკრძალული იქნება ტექნიკის რემონტი/ტექნომსახურება ან/და ტექნიკის რეცხვა;
- ✚ პერიოდულად შემოწმდება ადგილზე მომუშავე ტრანსპორტის და აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობა ჟონვის დასადგენად;
- ✚ აკრძალული იქნება სამშენებლო ტექნიკის დროებითი გაჩერება, ასევე სამშენებლო მასალის დროებითი დასაწყობება მდინარის უშუალო სიახლოვეს;
- ✚ მშენებლობის დაწყებამდე ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით მშენებელი კონტრაქტორის წარმომადგენლებს ჩაუტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟი;
- ✚ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე დაცული იქნება სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხები;
- ✚ განხორციელდება ეგხ-ის 2 მ დერეფნის მარკირება და მკაცრად გაკონტროლდება ბუფერული ზონის საზღვრები.

ეგხ-ის გაყვანის დროს, სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვა განხორციელდება ბიოტულაეტ(ებ)ის გამოყენებით. სამეურნეო-ფეკალური წყლები დაგროვების შესაბამისად გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის სათანადო საკანალიზაციო სისტემაში. პროექტის განხორციელების ფარგლებში წყლის გამოყენება საჭირო იქნება მხოლოდ სასმელი მიზნებისთვის - მუშახელი მომარაგებული იქნება ბუტილირებული სასმელი წყალით, და ამ მიზნით წყლის ობიექტების გამოყენების საჭიროება არ დგას.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შესაძლო პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ არ ექცევა მიწისქვეშა/გრუნტის წყლები, კერძოდ - როგორც ეს სკრინინგის ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში განიმარტა საკვლევ ზონაში დაძიებულ სიღრმეზე მიწისქვეშა/გრუნტის წყლები არ გამოვლენილა. მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე შესაძლო ირიბი სახის ზემოქმედების, მათ შორის დამაბინძურებელი ნივთიერებების შესაძლო დაღვრის შემთხვევაში, დამაბინძურებლების გრუნტის ღრმა ფენებში გაჟონვის პრევენციის მიზნით - დაბინძურებული გრუნტი მყისიერად მოიხსნება და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

ეგხ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, წყლის გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და აღნიშნული მიმართულებით კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროება არ დგას. ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არც მშენებლობის და არც შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპზე არ იქნება დაკავშირებული წყლის (ზედაპირული ან/და მიწისქვეშა) გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

#### 5.4. ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება:

საკვლევი დერეფნის ბიომრავალფეროვნების შეფასება ეყრდნობა საველე დაკვირვებას (რომელიც 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში განხორციელდა) და მოძიებული ინფორმაციის დამუშავებას.

ეგხ-ის ძირითადი ნაწილი გაივლის უკვე ათვისებულ გარემოში - შემოქმედი-გომისმთის და „ბჟუჟკესის“ სათავე კვანძის მისასვლელი გზების გასწვრივ, სადაც გარემო უკვე სახეცვლილია ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, კერძოდ: გარემოზე ზემოქმედება უკვე დამდგარია არსებული მისასვლელი გზებისა და განსახილველ მონაკვეთში წარმოდგენილი „ბჟუჟკესის“ 10 კვ მაზვის საჭაერო ეგხ-ის გათვალისწინებით, ხოლო საპროექტო ტიპის (საკაბელო) ქსელის მოწყობით წარსულში დამდგარი ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდა მოსალოდნელი არაა.

როგორც ეს 3.1 ქვეთავში განიმარტა ეგხ-ის საწყისი მონაკვეთი გაყვანილი იქნება არსებულ შიდა სატყეო გრუნტის გზაზე (იხ. სურათები N2-N3), რომელიც ამჟამად მიტოვებულია და არ არის აქტიურ სარგებლობაში. აღნიშნულ მონაკვეთზე უკვე ათვისებული დერეფნის გათვალისწინებით საპროექტო ტიპის (საკაბელო) ეგხ-ის გაყვანა დაკავშირებული არ იქნება ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ეგხ-ის ბოლო მონაკვეთზე, გარკვეულ ნაწილზე საჭირო იქნება ახალი ტერიტორიის ათვისება - მოცემულ მონაკვეთზე ეგხ-ის გაყვანისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ ეგხ-ის დაცვის ზონის (2 მ) შესაბამისი სიგანის ბუფერის ათვისება და ეგხ-ის გაყვანის მიზნით ბუნებრივ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების საჭიროება არ დგას.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საკვლევი არეალის ფარგლებში ან/და მის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები, მათ შორის ზურმუხტის ქსელის უბნები წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ეგხ-ის გარკვეული მონაკვეთები (იხ. თავი 3.1 და ქვეთავი 3.1.1) გაყვანილი იქნება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, რასთან დაკავშირებითაც საჭირო იქნება სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება.

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგით დგინდება, რომ საპროექტო ტიპის (საკაბელო) ეგხ-ის მოწყობა დადებით გარემოსდაცვით ხასიათს ატარებს და არ ხასიათდება ისეთი ზემოქმედების სახეების პროვოცირებით, რომლებიც ცალკე აღებული ან/და ერთობლივად ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას შექმნიდა, მათ შორის საპროექტო ტიპის ეგხ-ის მოწყობით მნიშვნელოვნად მცირდება შესაძლო ზემოქმედების ალბათობა ორნითოფაუნაზე. აღსანიშნავია, რომ სტანდარტული ეგხ-სგან განსხვავებით, წარმოდგენილი ელექტროგადამცემი ხაზი, არ შედგება ღია ტიპის (2 ან/და მეტი) სადენისებისგან, რაც შეეჯახების დროს გამორიცხავს ფრინველის დაზიანებას/სიკვდილს.

პროექტის განხორციელების ეტაპზე დაგეგმილია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება ფრინველებზე დაკვირვების პერიოდულობა და მონიტორინგის საკითხები. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მათ შორის ორნითოფაუნაზე ზემოქმედების პრევენციისა და შემცირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები (მაგალითად: ფრინველების დამაფრთხობლების მოწყობა და სხვ).

**I - ფლორისტულ გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების ანალიზი:**

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ოზურგეთის რაიონში 1000-ზე მეტი სახეობის მცენარეა, მათ შორის: ლაფანი; ხვალო; ტირიფი; წიფელი; წაბლი; რცხილა; ქვეტყეში – ქაცვი; იელი; შქერი; კავკასიური მოცვი; კოლხეთის სურო; კატაბარდა; სვია და სხვა. ოზურგეთის მთიან ნაწილში მცენარეულობის კოლხური ტიპი წარმოდგენილია სამი ვერტიკალური სარტყელით – ტყის, სუბალპური და ალპური ზონებით. მთისწინეთსა და დაბალმთიანეთში (1000-1100 მ-მდე) გაბატონებულია კოლხური (პოლიდომინანტური) შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები, სადაც ძირითადი ტყის შემქმნელი სახეობებია: წაბლი; წიფელი; რცხილა; კოლხური მუხა; ცაცხვი; თელამუში და სხვა. ზოგან მათ წიწვიანებიც ერევა (ფიჭვი, ნაძვი). გვხვდება მონოდომინანტური ტყეებიც: წაბლნარი; წიფლნარი; მუხნარი; წიფლნარ-რცხილნარი; წიფლნარ-წაბლნარი და სხვა. მძლავრად არის განვითარებული მარადმწვანე კოლხური ქვეტყე (წყავით, შქერით, ბზით, ჭყორით და სხვა). მუქწიწვიან ტყეებში (1500-1550 მ-დან 1800-1850 მ-მდე) გაბატონებულია ნაძვი, სოჭი და წიფლნარ-ნაძვნარ-სოჭნარი ფორმაციები. ალპური მდელოები მოფენილია მარცვლოვან-ნაირბალახეულით.

ეგხ-ის საპროექტო დერეფნის საველე დაკვირვების/შეფასების ფარგლებში ეგხ-ის ბუფერულ ზონაში დაფიქსირებული ფლორისტული სახეობებია: წიფელი (ლათ: *Fagus orientalis*); მთის ბოყვი, მთის ნეკერჩხალი (*Acer pseudoplatanus*); მურყანი, თხმელა (*Alnus*); რცხილა (*Carpinus*); საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებიდან გვხვდება წაბლის (*Castanea sativa*) ცალკეული ინდივიდები; ქვეტყეში ძირითადად წარმოდგენილია შქერი (*Rhododendron ponticum*), ასევე გვხვდება გვიმრები (*Psilotopsida*); ეგხ-ის დერეფანში წარმოდგენილია აგრეთვე ინვაზიური სახეობები: იაპონური კრიპტომერია (*Cryptomeria japonica*) და მანჯურიული კაკალი (*Juglans mandshurica*). საპროექტო დერეფანში დომინანტურ ფორმაციას წარმოადგენს წიფლნარ-რცხილნარები, შქერის ქვეტყევით. საპროექტო დერეფანში წარმოდგენილი მცენარეების სანახავად იხ. ფოტოსურათები NN 20-21-22-23-24-25-26-27-28-29.



საპროექტო მარშრუტზე საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი ძირითადად გაყვანილი იქნება ხე-მცენარეებით თავისუფალ ტერიტორიაზე, შემოქმედი-გომისმთის და „ბჟუჟკესის“ სათავე კვანძის მისასვლელ გზებზე (იხ. სურათები N4-N5 და N6-N7, ასევე N9-N10-N11). საპროექტო ეგხ-ის საწყისი მონაკვეთები გაივლის ხე-მცენარეებით დაფარულ ზონაში, თუმცა მოცემულ მონაკვეთზე ხე-მცენარეების გარემოდან ამოღების საჭიროება არ დგას - ვინაიდან ეგხ გაყვანილი იქნება არსებულ შიდა სატყეო გრუნტის გზაზე (იხ. სურათები N2-N3), რომელიც ამჟამად მიტოვებულია და არ არის აქტიურ სარგებლობაში.

ზოგადად საპროექტო გადაწყვეტის ელექტროგადამცემი ხაზის (იზოლირებულ სადენის) გაყვანა არ საჭიროებს ხე-მცენარეების გარემოდან ამოღებას ან/და გადაბეღვითი სამუშაოების წარმოებას, თუმცა ვინაიდან საპროექტო მარშრუტის ბოლო ნაწილზე (დაახლოებით 1200 მ მონაკვეთზე) აუცილებელი იქნება ეგხ-ის მომსახურე გზის კეთილმოწყობა, შესაძლებელია ზემოქმედებას დაექვემდებაროს ხე-მცენარეების გარკვეული ინდივიდები. *ეგხ-ის ტიპის (საკაბელო) და ბუფერული ზონის სიგანის (2 მ) გათვალისწინებით აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილ ფლორისტულ სახეობებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.*

სურათები N20-N21



სურათები N22-N23



სურათები N24-N25



სურათები N26-N27



სურათები N28-N29



როგორც ზემოთ აღინიშნა ხე-მცენარეებზე ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მონაკვეთს საპროექტო ეგხ-ის ბოლო ნაწილი წარმოადგენს, სადაც საჭირო იქნება ახალი ტერიტორიის ათვისება. ეგხ-ის ტიპის (საკაბელო) და ბუფერული ზონის სიგანის (2 მ) გათვალისწინებით აღნიშნულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. წინასწარი მოკვლევით, განსაზღვრულ მონაკვეთზე მნიშვნელოვანი რაოდენობის ხე-მცენარეების, გარემოდან ამოღების საჭიროება არ დგას. ზემოქმედებას დაქვემდებარებული 8 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეების მიახლოებითი რაოდენობა, სახეობების მიხედვით მოცემულია N4 ცხრილში. საპროექტო დერეფნის წინასწარი შეფასებით, „წითელი ნუსხის“ სახელ(ზე)ბის გარემოდან ამოღების საჭიროება არ არსებობს, თუმცა ასეთი საჭიროების შემთხვევაში საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღება განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცხრილი N4

სახეობა	რაოდენობა	წითელი ნუსხა
რცხილა ( <i>Carpinus</i> )	5	-
წიფელი ( <i>Fagus</i> )	11	-
ნეკერჩხალი ( <i>Acer</i> )	3	-
თხმელა ( <i>Alnus</i> )	7	-

ეგხ-ის საკაბელო ქსელის საწყისი და ბოლო მონაკვეთები მთლიანად მიუყვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. ხოლო ეგხ-ის ძირითადი ნაწილი, რომელიც შემოქმედი-გომისმთის საავტომობილო გზის და „ბჟუჟჰისის“ სათავე კვანძის მისასვლელ/მომსახურე გრუნტის გზის მარჯვენა ნაპირს მიუყვება გარკვეულ მონაკვეთებში კვეთს სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. ვინაიდან სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა ან/და მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან, ხოლო საპროექტო ელექტროგადამცემი საკაბელო ხაზის გარკვეული მონაკვეთები სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე იქნება გაყვანილი, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით შესაბამის ადმინისტრაციულ უწყებაში წარდგენილი იქნება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის უახლოეს მომავალში საპროექტო დერეფანში დაგეგმილია ჩატარდეს მცენარეული საფარის დეტალური კვლევა (ტყის ტაქსაცია) და ტყეკაფის აღრიცხვის უწყისის შედგენა.

დასკვნის სახით, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბიდან და საპროექტო მახასიათებლებიდან გამომდინარე შესაძლებელია აღვნიშნოთ შემდეგი: საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ტიპის გათვალისწინებით, რომელიც არ წარმოადგენს 35 კვ ეგხ-ის ტიპიურ ქსელს (*დიდი გაბარიტების ანკერული ანძებით, ღია სადენებით*) და მისი გაყვანა განხორციელდება საკაბელო გადაწყვეტით (იზოლირებულ სადენში) - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ფარგლებში ხე-მცენარეებზე, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობ(ებ)ზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბისა და საპროექტო ზონაში გავრცელებული ფლორისტული გარემოს, მათ შორის ზემოქმედებას დაქვემდებარებული სახეობების ღირებულებისა და რაოდენობის გათვალისწინებით - ეგხ-ს დერეფანში მცენარეული საფარის გაწმენდითი სამუშაოები არ გამოიწვევს საკვლევ არეალში გავრცელებულ მცენარეთა თანასაზოგადოებების მნიშვნელოვან ცვლილებას.

საპროექტო ზონაში გავრცელებულ ფლორისტულ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მინიმუმიზაციისთვის სტანდარტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საკმარის პირობას წარმოადგენს, მათ შორის:

- ✦ საპროექტო ტერიტორიების მკაფიო დემარკაცია და საპროექტო ბუფერული ზონის საზღვრების დაცვა;
- ✦ ხე-მცენარეების გარემოდან ამოღების საჭიროების შემთხვევაში მათი ამოღება განხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობის დადგენილი წესით, დეტალური ტაქსაციის/ტყეკაფის აღრიცხვის საფუძველზე;
- ✦ ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მონაკვეთში, მცენარეული საფარი მოიხსნება ხელით და აღნიშნული მიზნით გადაწვის მეთოდი ან ბულდოზერები გამოყენებული არ იქნება;
- ✦ ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ზონაში მოზარდ ხე-მცენარეებს მიეცემა განვითარების საშუალება და არ იქნება დაზიანებული სამშენებლო ტექნიკის მიერ;
- ✦ საჭიროებისამებრ, ზემოქმედების არეალში მოქცეული 8 სმ დიამეტრზე ნაკლები წითელი ნუსხის სახეობების გადარგვა მსგავს ჰაბიტატში.



**II - ფაუნისტურ გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების ანალიზი:**

საკვლევი დერეფნის ფაუნისტური შეფასება ეყრდნობა საველე დაკვირვებას (რომელიც 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში განხორციელდა) და მოძიებული ინფორმაციის დამუშავებას. მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ოზურგეთის რაიონის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია: კოლხური თხუნელა; პონტური ზღარბი; ჩვეულებრივი ღამურა; კავკასიური ციყვი; კავკასიური მურა დათვი; ამიერკავკასიური მთის მელა; კავკასიური მგელი; ტურა; კავკასიური ტყის კატა; კავკასიური ფოცხვერი; კავკასიური თეთრყელა კვერნა; მაჩვი; ევროპული შველი; არჩვი. ფრინველებიდან აღსანიშნავია: მწყერი; მცირე თეთრი ყანჩა; ქორი; მიმინო; შევარდენი; ჩვეულებრივი მდინარის თოლია; დიდი ჭრელი კოდალა; საშუალო კოდალა, ტყის ბუ; ყვავი; ჩხიკვი; მოლალური; სკვინჩა; სახლის ბელურა; წყალწყალა; ჩხართვი; შაშვი; ჭინჭრაქა; სოფლის მერცხალი; წყლის შაშვი; ბოლოშავა; ქალაქის მერცხალი; ოფოფი; გუგული; მეკირია და სხვა. რაიონის ტერიტორიაზე მოზინადრე ქვეწარმავლები დიდი მრავალფეროვნებით არ ხასიათდებიან. ხვლიკნიართაგან აღსანიშნავია ბოხმეჭა და კლდის ხვლიკი. გველებიდან გავრცელებულია ჩვეულებრივი ანკარა და წყლის ანკარა და ამიერკავკასიური გველგესლა. კუდიანი ამფიბიებიდან გვხვდება ტრიტონი, ხოლო უკუდო ამფიბიებიდან ჩვეულებრივი გომბემო, ტყის ბაყაყი, ამიერკავკასიური ბაყაყი, ვასაკა და სხვა. რაიონის წყალსატევებისათვის დამახასიათებელი თევზებიდან აღსანიშნავია ორი სხვადასხვა ტიპის კალმახი (მაღალი მთის და შუა მთის, რომელთა მარაგი მდინარეებში უკიდურესად არამდგრადია), ქაშაპი და წვერა.

ეგხ-ის საპროექტო დერეფნის საველე კვლევის/შეფასების ფარგლებში, განსაზღვრულ ბუფერულ ზონაში ფაუნისტური გარემოს ცხოველქმედების ფაქტები არ გამოვლენილა. კვლევის დროს ზემოაღწერილი ფაუნის სახეობები ან/და მათი ბინადრობის ნიშნები საკვლევ ზონაში არ დაფიქსირებულა. საველე კვლევის დროს ეგხ-ის ბუფერულ ზონაში შემჩნეული იქნა მხოლოდ ხვლიკების აქტივობა. დაფიქსირებული სახეობები ართვინის ხვლიკის (*Darevskia derjugini*) პოპულაციას უნდა წარმოადგენდეს (იხ. სურათი N30).

სურათი N30



ასათვისებელი ტერიტორიების ადგილსპეციფიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელთა ძირითადი ნაწილი მისასვლელ გზებს წარმოადგენს (იხ. სურათები N2-N3, N4-N5, N6-N7, N9-N10), შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ფაუნის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების დაზიანება/განადგურება პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი არ არის. ეგზ-ის ძირითადი ნაწილი გაყვანილი იქნება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში (*შემოქმედი-გომისმთის და ბჟუჟკესის საავტომობილო გზებზე*), სადაც ფაუნის საკონსერვაციო ღირებულების წარმომადგენლების ბინადრობა ნაკლებად სავარაუდოა.

პროექტის ფარგლებში ფაუნისტურ სახეობებზე პირდაპირი სახის ზემოქმედების ალბათობა არ არსებობს, ხოლო ირიბი სახის ზემოქმედება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მათ დაფრთხობა-შეშფოთებასა და ლოკალურ მიგრაციასთან, რაც დროებით ხასიათს ატარებს (2 თვე) და არ ხასიათდება ფაუნისტურ გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების პროვოცირებით. სამშენებლო სამუშაოების დასრულების და ტერიტორიის კეთილმოწყობის შემდგომ ფაუნის წარმომადგენლები დაუბრუნდებიან ჩვეულ გარემოს.


საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის მთლიანი ნაწილის საკაბელო ტიპის ქსელით გაყვანა ცალსახად დადებით გარემოებას წარმოადგენს ორნითოფაუნაზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების ჭრილში. კერძოდ, როგორც უკვე განიმარტა საპროექტო 35 კვ საჰაერო ეგზ არ წარმოადგენს მიწისზედა ეგზ-ის ტიპიურ ქსელს (დიდი გაბარიტების ანკერული ანძებითა და ღია სადენებით) და მისი გაყვანა განხორციელდება **საკაბელო გადაწყვეტით-იზოლირებული სადენით, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ფრინველების ეგზ-სთან შეჯახებით მოსალოდნელ შესაძლო ზემოქმედების ალბათობას. როგორც უკვე განიმარტა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი არის - ელექტროენერჯის გადაცემისათვის/გადატანისათვის განკუთვნილი იზოლირებული სადენი (იხ. სურათები N16-N17) და მისი ექსპლუატაციით ფრინველებზე ან/და ღამურებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.**

დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლების შეჯერების საფუძველზე დგინდება, რომ ვინაიდან საპროექტო გადაწყვეტა არ ქმნის ორნითოფაუნაზე უარყოფითი ზეგავლენის საფრთხეს/რისკებს, ამასთან არ საჭიროებს მნიშვნელოვანი რაოდენობის ხე-მცენარეების გარემოდან ამოღებას ან/და მათ გადაბეღვას და შედეგად ფრინველთა პოტენციური საბინადრო ადგილების დაზიანებას, აღნიშნული მიმართულებით დეტალური კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.

„გარეული ფრინველების დაცვის შესახებ“ საბჭოს 1979 წლის 2 აპრილის 79/409/EEC დირექტივის მიზანია ფრინველთა იმ სახეობების დაცვა, რომლებიც ბინადრობენ ევროპის გაერთიანების ტერიტორიაზე. დირექტივა განიხილავს ფრინველთა სახეობების შემცირების მრავალ სხვადასხვა მიზეზს და აყალიბებს ქმედებებს მათ შესარბილებლად. ფრინველთა კონსერვაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების დაცვა. სწორედ ამ მიზნით ფრინველთა დირექტივაში შევიდა ვალდებულება შეიქმნას სპეციალური დაცული ტერიტორიები ფრინველთათვის (Special Protection Areas

SPA). საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია სულ 24 ასეთი ტერიტორია. საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების (SPA - <http://aves.biodiversity-georgia.net/>) ინტერაქტიული რუკის მიხედვით, საპროექტო/საკვლევო არეალი არ ხვდება არცერთ ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიაზე ან/და მათ სიახლოვეს (იხ. რუკა N10).

რუკა N10



საქმიანობის განხორციელების ადგილის, პროექტის მცირე მასშტაბის, დაგეგმილი სამუშაოების ხანგრძლივობისა (2 თვე) და საპროექტო ეგზ-ის ტიპის (საკაბელო) გათვალისწინებით დგინდება, რომ საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვანი ზემოქმედება ფაუნისტურ გარემოზე მოსალოდნელი არ არის. ფაუნისტურ სახეობებზე შესაძლო ზემოქმედების მინიმუმაციის მიზნით სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება საკმარის გარემოსდაცვით პირობას წარმოადგენს, მათ შორის:

- ✚ საპროექტო ტერიტორიების მკაფიო დემარკაცია და სამშენებლო დერეფნის საზღვრების დაცვა, დამატებითი ტერიტორიების დაზიანების თავიდან ასაცილებლად;
- ✚ ორმოებისა და თხრილების შემოფარგვლა მკვეთრი ფერის საგნებით, მათში ცხოველების ჩავარდნის თავიდან აცილების მიზნით;
- ✚ ორმოებისა და თხრილების ოპერატიულად ამოვსება. ამოვსების სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა ორმოების შემოწმება, რათა გამოირიცხოს მათში ცხოველების არსებობის შესაძლებლობა;
- ✚ მშენებლობამდე, ცხოველების პოტენციური საბინადრო ადგილების გამოვლენა-დაცვა;
- ✚ სამუშაოების მხოლოდ დღის განმავლობაში წარმოება;
- ✚ მანქანა-დანადგარებისა და ტრანსპორტის სიჩქარეების შეზღუდვა;
- ✚ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ რეკულტივაციის სამუშაოების ჩატარება.

## 5.5. ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება:

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პროექტის, არც მშენებლობის და არც შემდგომი ექსპლუატაციის, ფარგლებში არ არის დაგეგმილი ისეთი სახის ღონისძიებების წარმოება, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა და შედეგად გარემოს დაზიანება.

პროექტის ფარგლებში (მშენებლობის ეტაპზე) წარმოქმნილი ნარჩენების მართვა, განხორციელება ნარჩენების სახეობის/ტიპის მიხედვით, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დაცვით. მათ შორის:

- ვინაიდან პროექტის ფარგლებში არსებობს გარკვეული ალბათობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების (წყლის ბოთლები, ქილები, საკვების ნარჩენები და ა.შ) წარმოქმნისა - საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაზიანების პრევენციის მიზნით სამუშაო უბნებზე განთავსდება დროებითი კონტეინერ(ებ)ი, რომელ(ებ)იც პერიოდულად (დაგროვების შესაბამისად) განიტვირთება მუნიციპალური ნარჩენების ურნებში;
- დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით სამშენებლო უბანზე მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა - თუმცა სამშენებლო უბანზე სახიფათო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევისთვის (ეს შეიძლება იყოს დაზიანებული ჩვრები, ნარჩენი საღებავი, საპოხი მასალები, დაზიანებული გრუნტი და ა.შ) გათვალისწინებული იქნება სახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სათანადო კონტეინერ(ებ)ში და აღნიშნული ტიპის ნარჩენების მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანიისთვის გადაცემა;
- ნარჩენებით გარემოს შესაძლო დაზიანების პრევენციის მიზნით, მშენებლობის დაწყებამდე განხორციელდება კომპანიის სამშენებლო ჯგუფის ინსტრუქტაჟი - ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკური მახასიათებლებიდან, მათ შორის თითოეული საყრდენისთვის ასათვისებელი ტერიტორიის ფართობიდან (1 მ<sup>2</sup>) გამომდინარე, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის დროს მოსალოდნელი არ არის დიდი რაოდენობით ფუჭი გრუნტის გენერაცია, რომლის მართვის მიზნით შესაძლოა საჭირო ყოფილიყო სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა. ეგხ-ის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული გრუნტი დროებით განთავსდება ექსკავაციის ადგილზე და გამოყენებული იქნება თხრილების შევსების ოპერაციებისთვის და ტერიტორიის ტექნიკური რეკულტივაციისთვის.

საერთო ჯამში დგინდება, რომ საქმიანობის ფარგლებში მასშტაბური რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა და შედეგად გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სამუშაოების დასრულების შემდგომ საპროექტო ტერიტორია დასუფთავდება ყოველგვარი ნარჩენებისგან და განხორციელდება ტერიტორიის კეთილმოწყობა. ექსპლუატაციის ეტაპზე, ეგხ-ის ტექ-მომსახურების გაწევის დროს ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მათი მართვა ასევე განხორციელდება ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად.

## 5.6. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი ზემოქმედება:

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სამშენებლო ოპერაციებთან. საპროექტო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეგხ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ზონაში არსებული გარემო-პირობების, მათ შორის რელიეფური პირობების, გათვალისწინებით საკვლევ არეალში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ფართო მასშტაბითა და სიმძლავრით არ არის გავრცელებული. ეგხ-ის საპროექტო დერეფნის საველე-ვიზუალური დაკვირვებით/დაზვერვით დგინდება, რომ საკვლევ ზონაში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საფარის სიმძლავრე საშუალოდ 5 სანტიმეტრს შეადგენს და ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი (იხ. სურათები N31-N32).

სურათები N31-N32



საკვლევ არეალში ნაყოფიერი ფენის გავრცელების პროცენტულობა საშუალოდ 25-30%-ს შეადგენს. როგორც აღინიშნა ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე საშუალოდ 5 სმ-ია (0.05 მ). ეგხ-ის ბუფერული ზონის მთლიანი ფართობი (ბუფერული ზონის სიგრძის და სიგანის გათვალისწინებით) შეადგენს დაახლოებით 10 940 მ<sup>2</sup> - შესაბამისად მოსახსნელი ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის საშუალო მოცულობა იქნება (ფართობის 30 პროცენტი (3 282 მ<sup>2</sup>) x 0.05 მ=) **164,1 მ<sup>3</sup>**.

ეგხ-ის გაყვანისთვის შერჩეული მარშრუტის (რომელიც ძირითადად ათვისებულ ტერიტორიებს - საავტომობილო გზებს მიუყვება) ადგილ-სპეციფიკური მახასიათებლებისა და ეგხ-ის საპროექტო მონაკვეთზე თითოეული საყრდენის დაფუძნების ადგილის ფართობის (1 მ<sup>2</sup>) გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროექტის ფარგლებში დიდი მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის საჭიროება არ დგას და შედეგად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების ალბათობა არ

არსებობს. ადგილებში, სადაც საჭირო იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შეინახება შესაბამისი პირობებით, შემდგომი სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება შესაბამისი ნორმების დაცვით, მათ შორის:

- ✓ ნაყოფიერი ფენა მოიხსნება იდენტიფიცირებულ სისქეზე და დროებით დასაწყობდება შესაბამისი საყრდენის დაფუძნების ადგილზე;
- ✓ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ განხორციელდება გრუნტის ქვედა ფენის (ე.წ. ფუჭი გრუნტის) ექსკავაცია, რომელიც ასევე დასაწყობდება სამუშაო უბნების სიახლოვეს, სეპარირებულად ნაყოფიერი ფენისგან;
- ✓ საპროექტო საყრდენების მოწყობის შემდგომ - ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ისევე როგორც ფუჭი გრუნტი გამოყენებული იქნება დაზიანებული უბნების რეკულტივაციისთვის;
- ✓ ფუჭი გრუნტი გამოყენებული იქნება დაზიანებული უბნების პირველადი შევსება/ტექნიკური რეკულტივაციის მიზნებისთვის, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ბიოლოგიური რეკულტივაციის მიზნებისათვის;
- ✓ ადგილებში სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის განხორციელდება მხოლოდ ტექნიკური რეკულტივაცია (ექსკავირებული გრუნტით თხრილების/ტრანშეების შევსება);
- ✓ ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე შესაძლო ზემოქმედების პრევენციის მიზნით სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის სამუშაო უბნების საზღვრების დაცვა, საკმარის პირობას წარმოადგენს.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ასევე გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს ნიადაგის/გრუნტის ხარისხის გაუარესებასთან/დაბინძურებასთან, თუმცა საპროექტო საქმიანობის მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით აღნიშნული მიმართულებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად ამისა შესაძლო ზემოქმედების მინიმუმაციის/პრევენციის მიზნით:

- ✓ პროექტის ფარგლებში მკაცრად გაკონტროლდება საპროექტო ზონის საზღვრები, დამატებითი ტერიტორიების დაზიანების თავიდან ასაცილებლად;
- ✓ ასევე სატრანსპორტო საშუალებების გამართულობა და ნარჩენების მართვის საკითხები;
- ✓ აღსანიშნავია, რომ საპროექტო ეგზ-ის გაყვანის ეტაპზე სამშენებლო ზონაში არ იარსებებს დამაბინძურებელი ნივთიერებები, რომელთა ავარიულმა დაღვრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიოს გრუნტის ხარისხზე.
- ✓ სამშენებლო ტექნიკიდან ნავთობპროდუქტების შესაძლო დაღვრის ან/და გაჟონვის შემთხვევაში დაბინძურებული გრუნტი მყისიერად მოიხსნება და შემდგომი მართვის

მიზნით გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

მოცემული განმარტებების, მათ შორის პროექტის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.

### **5.7. გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება:**

სკრინინგის ანგარიშის მე-4 თავში როგორც განიმარტა რთული ტიპის რელიეფური ფორმები და სახიფათო გეოდინამიკური წარმონაქმნები ძირითადად დამახასიათებელია ხეობის ზედა წელისთვის, ხოლო უშუალოდ საპროექტო ეგზ-ის განთავსების დერეფანი წარმოდგენილია შედარებით მარტივი გეოლოგიური პირობებით. ეგზ-ის გაყვანის მიზნით დაგეგმილი არ არის ფერდობის ჩამოჭრა-დამუშავების ღონისძიებების წარმოება, რასაც შესაძლოა გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოეწვია.

საპროექტო დერეფნის ზოგადი გეოლოგიური პირობების შეფასების ანგარიშის თანახმად: კვლევების ამ ეტაპზე არსებული მონაცემების მიხედვით, ზოგადი გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური თვალსაზრისით ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი გარემოება, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა განსახილველი ობიექტის მშენებლობას ან/და ექსპლუატაციას.

ამასთან, საპროექტო ეგზ-ის ბუფერულ ზონაში ხელშემშლელი გეოლოგიური/გეოდინამიკური გარემოებები არ გამოვლენილა განსახილველი მონაკვეთის საველე-ექსპედიციის ფარგლებში, რაც წინააღმდეგობას შეუქმნიდა საპროექტო ტიპის 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა-ექსპლუატაციას (*იხ. 3.1 ქვეთავში წარმოდგენილი ფოტომასალა*). მოპოვებული ფონდური-ლიტერატურული მასალებისა და ეგზ-ის საპროექტო დერეფნის საველე-ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ რომ საკვლევი ზონაში საშიში გეოლოგიური პროცესების კვალი არ ფიქსირდება და არც სამომავლოდ არის მოსალოდნელი რაიმე საფრთხე აღნიშნული მდგრადობის დასარღვევად.

ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება საკვლევი არეალის გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევასთან და აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის საჭიროება არ დგას.

## **5.8. ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება:**

ეგხ-ის ტიპის გათვალისწინებით, საპროექტო მონაკვეთში ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების ან/და დეტალური შეფასებების განხორციელების საჭიროება არ დგას. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ საქმიანობის განხორციელების ადგილი არ მდებარეობს დასახლებულ ტერიტორიაზე ან/და მის სიახლოვეს.

როგორც უკვე განიმარტა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი არის ელექტროენერჯის გადაცემისათვის/გადატანისათვის განკუთვნილი იზოლირებული სადენი (**იხ. სურათები N16-N17**) და მისი ექსპლუატაციით ელექტრომაგნიტური ველების გავრცელება მოსალოდნელი არაა.

დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ელექტროგადამცემი ხაზის საჭაერო საკაბელო გადაწყვეტით გატარება ცალსახად დადებით გარემოებას წარმოადგენს და ფაქტობრივად გამორიცხავს აღნიშნულ მონაკვეთზე ელექტრომაგნიტური ველის გავრცელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდას, რომელიც შესაძლოა შექმნილი იყოს „ბჟუჟქესის“ სათავე კვანძის მომსახურე ღია ტიპის საჭაერო 10 კვ სიმძლავრის ეგხ-ის ექსპლუატაციით.

## **5.9. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედება:**

საკვლევი არეალი ვიზუალურ-ლანდშაფტური თვალსაზრისით ნაწილობრივ უკვე სახეცვლილია, მათ შორის საპროექტო ეგხ-ის ძირითადი ნაწილი გაივლის შემოქმედი-გომისმთისა და „ბჟუჟქესის“ სათავე კვანძის მისასვლელ საავტომობილო გზაზე.

